პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ____ოქტომბერი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 აპრილის №5/23955 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის ---- ოქტომბრის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ მდებარე (საკადასტრო კოდი №03.06.27.063; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობი - 44 341.00 კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-№5) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №212917183) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას სარგებლობის ვადის, 10 (ათი) წლის გასვლის შემდგომ, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ; საკადასტრო კოდი №03.06.27.063; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობი - 44 341.00 კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-№5) დაბრუნება.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მომართვა (N5/23955; 26.04.2024წ.), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონების (ს/კ N03.06.27.063; მიწის ფართობი - 44341კვ.მ შენობა-ნაგებობა N1-N5) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის საკითხს, შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის" (ს.ნ 212917183) სარგებლობაში, თხოვების ფორმით 10(ათი) წლის ვადით გადაცემის მიზნით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის" (ს/ნ 212917183) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 27 აგვისტოს №ბ44.44212392 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის" 100%-იანი წილის (სასყიდლით, პირობებით) პრივატიზებისათვის. ასევე, განსაზღვრული იქნა რიგი საპრივატიზებო პირობები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის" 100%-იანი წილის გასხვისების თაობაზე. აუქციონი დასრულდა 2021 წლის 1 სექტემბერს. აუქციონზე გამარჯვებულად გამოვლინდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი" (საიდენტიფიკაციო ნომერი №404987332), ქონების საბოლოო ფასმა შეადგინა 577 017.00 (ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ათას ჩვიდმეტი) ლარი რიგი ვალდებულებების შესრულების პირობით. 2021 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის" 100%-იანი წილის (სასყიდლით, პირობებით) პრივატიზების ნასყიდობის ხელშეკრულება N15. 2021 წლის 8 სექტემბერს გაცემული იქნა პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N15.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის" მიერ მიღებული დასკვნების საფუძველზე ირკვევა, რომ სრულად შესრულებულია საუქციონო პირობები.

მოგეხსენებათ, რაოდენ მნიშვნელოვანია ფეხბურთი საქართველოში, რაც კიდევ უფრო ცხადყო ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, (ნაგულისხმებია 2024 წლის ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ეროვნული ნაკრების მიღწევები). სპორტის სახეობა ფეხბურთი და საფეხბურთო კლუბი „ტორპედო" განუყოფელია ქუთაისთან და ქუთაისელებთან. სწორედ კლუბის აღორძინების მიზნით განხორციელდა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შპს ,,საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის" (ს/ნ 212917183) 100%-იანი წილის გასხვისება, აუქციონის შედეგად გამოვლინდა იურიდიული პირი, რომელიც ვალდებულია მართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი" (საიდენტიფიკაციო კოდის №212917183) როგორც გულისხმიერმა მფლობელმა, კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით, მოიძიოს ინვესტორები, დონორები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოსავლის სხვა წყაროები. უზრუნველყოს, კომპანიის საფეხბურთო გუნდების შესაბამის ლიგებში ასპარეზობა. საკუთრებაში გადაცემული კომპანიის გამართულად ფუნქციონირებისათვის, ყოველწლიურად უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა. უნდა უზრუნველყოს საფეხბურთო სკოლა-აკადემიისა და ბავშვთა გუნდების ფუნქციონირება (წელიწადში 100-200 ბავშვზე), ოფიციალური მატჩების და სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ფიფას, უეფას და საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია არ შეცვალოს შპს ,,საფეხბურთო კლუბ ტორპედო ქუთაისის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212917183) სპორტული პროფილი „ფეხბურთი" და სახელწოდება.

ცნობილია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 სექტემბრის №425 განკარგულებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის (მ.შ) 2021 წლის 22 სექტემბრის №ბ44.442126519 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული იქნა №26 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ,,ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.27.063). ქონების სარგებლობის ვადა განისაზღვრა 10 (ათი) წლით. მათ შორის: სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ - ორი წლით, ხოლო სასყიდლით - რვა წლით. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის შემდეგ, სარგებლობის ქირა განისაზღვრა დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულმა პირმა ,,ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა“ წერილობით (2023/3108; 30.08.2024წ.) მომართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველი ნაწილია საფუძველზე მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა. ქალაქ ქუთისის მუნიციპალიტეტის მერიასა და(ა)იპ ,,ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს“ შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი (22.09.2023წ.) ხელშეკრულების (N26; 23.09.2021წ.) ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონებაში (ს/კ N03.06.27.063) განთავსებულია საფეხბურთო ბაზა. სპორტის ამ სახეობის აღორძინებისათვის მიზანშეწონილია, აღნიშნული ქონება გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის“ (ს.ნ 212917183) სარგებლობაში, თხოვების ფორმით 10(ათი) წლის ვადით გადაცემის მიზნით.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის (**მუხლი 108** – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი პუნქტის შესაბამისად - „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ავტონომიურ რესპუბლიკას - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისის შემთხვევაში - თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით“. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ამავე პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი